წლიური ანგარიში

2022

ადამიანის უფლებათა ცენტრი HRC

2022 წელს დასრულდა ახალი კორონავირუსის - covid19-ის გლობალური პანდემია, რომელმაც თავისი დაღი დაასვა კაცობრიობის განვითარებას ჰუმანიტარული, ეკომონიკური და სოციალური თვალსაზრისით. კორონავირუსმა შეიწირა ათასობით ადამიანი, დაიკეტა საწარმოები და ოფისები, შეწყდა მიმოსვლა ქვეყნებს შორის, ჩაკვდა ტურიზმი და ეკონომიკის სხვა შემოსავლიანი დარგები. ამიტომაც 2022 წლის გაზაფხული იმედისმომცემი უნდა ყოფილიყო ყველასთვის და დედამიწის ყველაზე სოციალური ცხოველი - ადამიანი უნდა დაბრუნებოდა ყოფა-ცხოვრების ჩვეულ რიტმს...

მაგრამ!..

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ უკრაინას და დაემუქრნენ მის სუვერენიტეტს, ევროატლანტიკურ არჩევანს. რუსეთის სამხედრო აგრესიამ და დღითიდღე მზარდმა ადამიანურმა მსხვერპლმა მსოფლიო ომის საშიშროება წარმოშვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას მსგავსი სისასტიკე და ომის დანაშაულები არ უნახავს. ამიტომ მთელი ცივილიზებული სამყარო დადგა უკრაინის მხარეს ხორცშესხმული ბოროტების - რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებს, პირდაპირ თუ ირიბად, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები შეეხო. რუსეთის წინააღმდეგ ომში მოხალისეებად ჩაერთნენ საქართველოს მოქალაქეები. 2022 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლას წლის განმავლობაში საქართველოს 34 მოქალაქე შეეწირა. ამ დროისათვის, უკრაინაში 2500-მდე ქართველი იბრძვის. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მხარს უჭერს უკრაინის ხელისუფლების და ხალხის ბრძოლას აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა ხალხმა არაერთხელ გამოხატა მრავალათასიანი

აქციებით. საზოგადოების მხარდაჭერის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ - არ შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, უკრაინის ხელისუფლებასთან დაძაბულობა წარმოშვა. უკრაინის პრეზიდენტმა საქართველოდან ელჩი ოფიციალურად გაიწვია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლის განმავლობაში სამართლებრივ დახმარებას უწევდა უკრაინიდან ლტოლვილ მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება თავდაპირველად საცხოვრებლით უზრუნველყოფდა, მაგრამ ეს პროგრამა 2022 წლის ივლისში დასრულდა. საქართველოში ლტოლვილი უკრაინელები მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარება, ძირითადად, ეხებოდა ლტოლვილის სტატუსის და ბინადრობის უფლების მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

უკრაინის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ მოჰყვა არნახული სოლიდარობა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან. ამ ვითარებაში უკრაინამ ომის დაწყებიდან მალევე ოფიციალურად მიმართა ევროკავშირს, განეხილა უკრაინის ევროკავშირში დაჩქარებულად გაწევრიანება. 2022 წლის 3 მარტს ევროკავშირს გაწევრიანების თხოვნით, ასევე, მიმართა მოლდოვამ და საქართველომ, რასაც მალევე მოჰყვა პასუხი ევროკავშირის მხრიდან - ევროკომისიის რეკომენდაციით უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ხოლო საქართველოს კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად 12 რეკომენდაციის შესრულება დაევალა. ევროკომისიის ამ პოზიციით ნათელი გახდა, რომ რეგიონში ერთ დროს მოწინავე საქართველო ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეფერხდა დემოკრატილი განვითარების გზაზე და მთელი რიგი მიმართულებით საჭიროა სწრაფი რეფორმები, რათა თავისი ადგილი დაიკავოს ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

საქართველოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს დოკუმენტი - 12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის, რომელიც წარმოადგენს ევროკომისიის რეკომენდაციების დროულად შესრულების დეტალურ სამოქმედო გეგმას. დოკუმენტს ხელს ადამიანის უფლებათა ცენტრიც აწერს. წლის განმავლობაში ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ დოკუმენტზე ხელმომწერი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეხვედრებში საქართველოს პარლამენტში - როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ისე უმრავლესობის ლიდერებთან. თავის მხრივ, 12 რეკომენდაციის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა მმართველმა

პარტიამ. ამ რეკომენდაციების შესრულებაზე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დისკუსიები წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო.

უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის პროცესს. ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩართული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროცესში, რომლის შედეგადაც საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინა სახალხო დამცველის სამი კანდიდატი. სამწუხაროდ, საპარლამენტო უმრავლესობამ წარდგენილი კანდიდატებიდან არც ერთს არ დაუჭირა მხარი, რის გამოც პარლამენტმა სახალხო დამცველი ვერ აირჩია. საპარლამენტო ოპოზიცია მხარს უჭერდა სახალხო დამცველის არჩევას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შერჩეული კანდიდატებიდან.

2022 წლის განმავლობაში შესამჩნევად გაძლიერდა ანტიდასავლური რიტორიკა. ამ სამარცხვინო პროცესში არა მხოლოდ „ალტ-ინფო“ და სხვა მსგავსი პრორუსული, მარგინალური ჯგუფები, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შემაშფოთებელია აშშ-ის საელჩოს საქმიანობის და ელჩ კელი დეგნანის დისკრედიტაციის კამპანია. პარალელურად, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა და ხელისუფლებამ გააძლიერა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დემონიზაციის კამპანია. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს კანონპროექტი დასავლური ფონდების მიერ მხარდაჭერილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების უცხოელ აგენტებად რეგისტრაციის შესახებ, რაც რუსეთის ფედერაციაში არსებული მსგავსი ანტიდემოკრატიული კანონის პირდაპირი იმპლემენტაციაა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანიის პირობებში აგრძელებს საქმიანობას. მსგავსი თავდასხმები საქართველოში ახალი არ არის და ისიც კარგად გვახსოვს, როგორ მთავრდება ეს ხელისუფლებისთვის და მმართველი პარტიისთვის.

2022 წელი დატვირთული იყო რთული და მნიშვნელოვანი მოვლენებით, რაც ადამიანის უფლებების დასაცავად მეტი ძალისხმევის გაღებას მოითხოვდა უფლებადაცვითი ორგანიზაციის გუნდის მხრიდან. უკრაინაში ტერორისტი სახელმწიფოს - რუსეთის ფედერაციის მიერ გაჩაღებულმა ომმა ყველა ჩვენგანის დღის წესრიგი და პრიორიტეტები შეცვალა. მეორე მხრივ, ომით გამოწვეულმა გეოპოლიტიკურმა რყევებმა საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობები შექმნა, რაც შეიძლება იყოს, უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარება და ახალი პერსპექტივები რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან შერიგების პროცესში. ორივე მიმართულებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად ჩაერთო შესაძლებლობების შედეგიანად გამოყენების პროცესის მხარდაჭერაში.

2022 წელს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდის - Zivik-ის მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააგრძელა პროექტი „მშვიდობის მშენებლობის მხარდაჭერა თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის“. ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა დისკუსიები ქართული საზოგადოების შიგნით წარსულის გააზრების მიზნით გაგრძელდა ქართველი, აფხაზი და ოსი უფლებადამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების სამმხრივი სამუშაო შეხვედრები. ასევე, წარმატებით ჩატარდა ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდა აქტივისტებისთვის ტრენინგი ფიზიკურ და ციფრულ უსაფრთხოებაზე.

კონფერენცია "ნდობის აღდგენის შესაძლებლობების შეფასება წარსულის გააზრების საფუძველზე", 14-15 ივნისი, თბილისი

პროექტი *„თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის ნდობის აღდგენისა და ქართულ საზოგადოებაში წარსულის გადაფასების შესახებ დიალოგის ხელშეწყობა“.*

დონორი *გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი ifa (Institut für Auslandsbeziehungen), Funding programme zivik*

2022 წელს, ასევე მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამართა ქართულ-ოსური შეხვედრა სომხეთში, სადაც ქართველმა უფლებადამცველმა იურისტებმა და მშვიდობის მშენებლობაზე მომუშავე ექსპერტებმა ოს კოლეგებს გააცნეს ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული კვლევა - *„კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“.* კვლევის მიზანი იყო ქართულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების ანალიზი, რაც ხელს უშლის კონფლიქტით დაზარალებულ ოს და ქართველ მოქალაქეებს, აღიდგინონ საკუთრების და/ან მოქალაქეობის უფლება. შეხვედრის დროს მნიშვნელოვანი იყო ოსი კოლეგებისა და პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებების მოსმენა. დაიგეგმა სამომავლო ერთობლივი ღონისძიებებიც, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, დაკარგული უფლებების აღდგენას და მეორე მხრივ, კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებების შორის ნდობის აღდგენის პროცესს.

2022 წელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებდა უფასო იურიდიული დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებში ორგანიზაცია არა მარტო კონკრეტულ ბენეფიციარებს ეხმარებოდა მათი დარღვეული უფლებების აღდგენაში, არამედ სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გზით განაგრძობდა საკანონმდებლო ხარვეზების, სამართალდამცავი სისტემის მანკიერი პრაქტიკის შეცვლას და სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების იდენტიფიცირებას. ცენტრი, აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით, 15 წელზე მეტია, წარმატებით ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების პროექტს. თბილისის სათაო ოფისის, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონული ოფისების 5 პროფესიონალი იურისტისგან შემდგარი გუნდი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას და ასეულობით მოქალაქის უფლებებს იცავს როგორც ადგილობრივ დონეზე საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე საერთაშორისო დონეზე - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და გაეროს კომიტეტებში.

საინტერესო და ნაყოფიერი იყო 2022 წლის 4-8 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდის და გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ელჩის სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში. ზაგრების ადამიანის უფლებათა სახლის წევრმა ორგანიზაციამ - „დოკუმენტამ“, რომელიც გარდამავალ მართლმსაჯულებაზე და ომის დანაშაულებების დოკუმენტირებაზე მუშაობს, ქართველ კოლეგებს უმასპინძლა. სასწავლო ვიზიტის მონაწილეები შევხვდით ხორვატიაში მოქმედ აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციებს და სერბული უმცირესობის წარმომადგენლებს როგორც ზაგრებში, ასევე აღმოსავლეთ სლავონიაში. გავეცანით იმ გზას, რაც ხორვატიამ და ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გაიარეს მშვიდობის მშენებლობისა და შერიგების პროცესში, გავიგეთ ის გამოწვევები რაც დღეს ჯერ კიდევ არსებობს ომით დაშორებულ ხორვატულ და სერბულ საზოგადოებებს შორის.

ამ საქმიანობების და ნაყოფიერი შეხვედრების გათვალისწინებით, 2022 წელი ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის წარმატებული, მაგრამ გამოწვევებით სავსე იყო. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ვაგრძელებთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას და ძველი და ახალი ინიციატივების განხორციელების გზით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ყველა ადამიანის თანასწორობის რწმენით ბრძოლას.

მრგვალი მაგიდა "გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები ხორვატიასა და საქართველოში", დეკემბერი 2022 ზაგრები, ხორვატია
პროექტი: *სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში*
დონორი: *ადამიანის უფლებათა სახლების ფონდი, House to House Project Fund*

ადამიანის უფლებათა ცენტრი უფასო იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში წარმატებით აგრძელებს საადვოკატო მომსახურებას, ასევე - პირად, სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით. ცენტრის იურისტები ოპერატიულად ერთვებიან ყველა საქმეში, სადაც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა იკვეთება; სადაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუციური სისტემა, მოქალაქეს უპირისპირდება და მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები რისკის ქვეშ დგება. ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს ბენეფიციარებს, რათა დაცული იყოს მათი უფლებები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

2022 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები რამდენიმე სტრატეგიულ საქმეს აწარმოებდნენ. მათ შორისაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეები. ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა ადვოკატების ინტერესებს, რომელთა სატელეფონო საუბრებს უკანონოდ უსმენდა სუსი. ადვოკატების მიმართ დაინტერესება უდავოდ განპირობებულია მათი პროფესიული, უფლებადაცვითი და საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე.

ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც დაზარალებულ მხარეს დაუსაბუთებლად ეზღუდება სისხლის სამართლის საქმის გაცნობა - მისთვის ასლების გადაცემის გზით. დაზარალებულს მხოლოდ ის შეუძლია, რომ საქმის მასალებს გაეცნოს საგამოძიებო ორგანოში. კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლების - გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას - მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის მარტოოდენ წაკითხვა ან შესაბამისი დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება. მისი დანიშნულება იმგვარი მექანიზმის შექმნაა, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს, სათანადოდ, გულდასმით

შეისწავლოს ინფორმაცია, გამოიკვლიოს მისი სისწორე, გააანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს იგი სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა წლების განმავლობაში არაერთი საქმე აწარმოა, სადაც ვლინდება სამედიცინო კლინიკებში მკურნალობისას მოქალაქეთა უფლებადარღვევები. ცენტრი წარმატებით იცავს დაზარალებულებს, მაგრამ უშუალოდ საქმის წარმოებისას ადვოკატები აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც სამედიცინო დავების წარმოებისას დაზარალებულ პირებს ხელს უშლის საკუთარი უფლებების სრულყოფილად დაცვაში.

ადამიანის ჯანმრთელობის უფლება გარანტირებულია როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც, მოქალაქის უფლება ჯანდაცვის ხელმისაწვდომ და ხარისხიან მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. ამასთან, სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, გააკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება და სამედიცინო სერვისების ხარისხი. საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი ეშლება შესაბამისი სამედიცინო დარგის ექიმ-სპეციალისტის უარის გამო, მონაწილეობა მიიღოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში. ასეთი საქმეები ძალიან ბევრია და შესაძლოა, წლების განმავლობაში რეაგირების გარეშე იდოს საგამოძიებო ორგანოს თაროზე და ამ პრობლემაზე პასუხი მუდმივად ექსპერტების ჩართვის შეუძლებლობაა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეების წარმოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე მნიშვნელოვანი საჩივარი, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ცენტრი შსს-ს

მიერ დარბეულ დემონსტრაციაზე ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას ითხოვს. ასევე სტრასბურგის სასამართლო განიხილავს ცენტრის მიერ მომზადებულ საჩივრებს, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და 13-ე მუხლის დარღვევა იკვეთება.

2022 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის („იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი“) ფარგლებში HRC-ის მონიტორინგის ქვეშ მოექცა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სადაც სავარაუდო პოლიტიკური მოტივი შეიძლება იყოს გამოკვეთილი.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. სასამართლო პროცესების მონიტორინგი ორგანიზაციამ 2020 წელს დაიწყო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა როგორც საპროტესტო აქციებზე ასევე, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი დარღვევების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, დააგროვა მნიშვნელოვანი, მოცულობითი ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა

მონიტორინგის განმავლობაში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ტენდენციების შეფასება, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი.

გასული წლების მსგავსად, კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები და გამოწვევები.

2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის დეკემბრამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები 24 სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე ჯამში დააკვირდნენ 87 სასამართლო სხდომას. სასამართლო პროცესების საქმეთა ნაწილი პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს, ნაწილი კი თბილისის სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო სხდომების მონიტორინგის კომპონენტის ფარგლებში მომზადდა შემაჯამებელი ანგარიში და ანალიტიკური დოკუმენტი - - *„პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე - მიხეილ სააკაშვილის საქმის სამართლებრივი ანალიზი“.* ანგარიშში წარმოჩენილია ის საკითხები, რითაც განპირობებული იყო სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა და ასევე - თვალსაჩინო პრობლემები, რაც გამოვლინდა მონიტორინგის პროცესში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში.

2022 წლის 14-15 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრი მიწვეული იყო ადამიანის უფლებათა ყოველწლიურ ფორუმზე - (EU-NGO), რომელიც პანდემიის დასრულების შემდგე პირველად ჩატარდა ფიზიკურ სივრცეში - ქალაქ ბრიუსელში. 2022 წლის ფორუმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საკითხის განხილვა, ევროკავშირმა როგორ დაიცვას საზოგადოებრივი ორგანიზაციები და უფლებადამცველები კონფლიქტისპირა და კრიზისულ ზონებში. ამასთან, დისკუსიის თემას წარმოადგენდა, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები. ფორუმს ესწრებოდნენ ევოკავშირის წარმომადგენლები, ადამიანის უფლებათა დამცველები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან. ორგანიზაცია არის ისეთი ცნობილი საერთაშორისო ქსელების წევრი, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT); ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია, მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB), მიწის საერთაშორისო კოალიცია (International Land Coalition), სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმა (Civil Solidarity Platform) და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაცია - ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი უკვე არაერთი წელია, ცენტრის სტრატეგიული პარტნიორი და დონორია. კომიტეტი მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობდა და ხელს უწყობდა ადამიანის უფლებების დაცვას რეგიონში. 2022 წელს კომიტეტის მხარდაჭერით ცენტრი აგრძელებდა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგს და ადვოკატირებას.

ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შესაზღუდად არაერთი ხელოვნური ბარიერი იყო შექმნილი რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. ნაწილობრივ გაიხსნა ორი წლის განმავლობაში სრულად იზოლირებულ ახალგორის რაიონთან დამაკავშირებელი ე.წ. მოსაბრუნის საკონტროლო-გამშვები პუნქტი. გამყოფი ხაზის გასწვრივ, უკანონო „ბორდერიზაციის“ შედეგად, არაერთმა ადამიანმა დაკარგა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. ბორდერიზაციის გამო, ირღვევა საკუთრების, გადაადგილების თავისუფლების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებების პრაქტიკა გრძელდებოდა და ასობით ადამიანი 2022

წელსაც გახდა ამ პოლიტიკის მსხვერპლი. სოხუმის და ცხინვალის საპატიმროებში სხვადასხვა ბრალდებით დღემდე იმყოფება საქართველოს 8 მოქალაქე. დეკემბერში დასრულდა გამოძიება სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური დევნის მსხვერპლის ახალგორელი აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის საქმეზე. მის საქმეში იკვეთებოდა გადაადგილებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და დისკრიმინაცია, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. წინა წლებში გამყოფ ხაზთან ან მიმდებარე ტერიტორიებზე მომხდარი მკვლელობის/გარდაცვალების ფაქტები კვლავ არ არის გამოძიებული და დამნაშავეები არ დასჯილან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ასევე, მონიტორინგს ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების გამყოფ ხაზებზე მიმდინარე განგრძობად ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო ძალების წარმომადგენლები ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე აგრძელებენ უკანონო ბორდერიზაციას, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უზღუდავს წვდომას ბუნებრივ რესურსებსა და საარსებო წყაროებზე. გრძელდება ასევე მათ მიერ მოქალაქეთა უკანონო დაკავებისა და გატაცების შემთხვევები. ოკუპაციიდან გამომდინარე, პრობლემების გარდა, ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს მოშლილი გზები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობა, სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა. მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით საგანგაშოა ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება და ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. აღსანიშნია, რომ ამ სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სწორედ ხანდაზმული პირები წარმოადგენენ. საარსებო წყაროებისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, სოფლებს ტოვებენ ახალგაზრდები.

2022 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა რეგიონში არაერთი ასეთი სოფელი მოინახულეს და გაესაუბრნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სოფლებში დაფიქსირებულ პრობლემებთან

დაკავშირებით ორგანიზაციამ მიმართა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. წლის ბოლოს ცენტრმა გამოაქვეყნა შემაჯამებელი ანგარიში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2022

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აგრძელებს 2008 წლის ომის დანაშაულების გამოძიებას. 2022 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი, სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით, ცდილობდა ომით დაზარალებულთა ინტერესების დაცვას და ადვოკატირებას, მათ შორის - FIDH-ის და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა საერთაშორისო კოალიციის დახმარებით. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი სამართლებრივ დახმარებას უწევდა 2008 წლის ომის მსხვერპლებს და დევნილებს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან. გრძელდებოდა მონიტორინგი როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე - დევნილთა ჩასახლებებში.

გრძელდებოდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოებთან ადვოკატირება 2008 წლის აგვისტოს ომის მსხვერპლთა უფლებების დაცვის მიზნით. რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული აგრესიული ომის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 2008 წელს საქართველოში ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებულ გამოძიებას, რასაც სასამართლო 6 წლის განმავლობაში აწარმოებდა. ამ წელს სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა საქართველოს საქმეზე პირველი დაპატიმრების ორდერები წარუდგინა სასამართლოს. დეკემბერში კი საქართველოს სიტუაციის გამოძიების ეტაპი დაასრულა. 2022 წლის განმავლობაში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ შეხვედრაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებთან, სადაც კვლავ გაესვა ხაზი გამოძიების დროულობის, სისრულისა და ობიექტურობის მნიშვნელობას.

საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მათი დახმარებით გაიმართა სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების და ცვლილებების ადვოკატირების მიზნით. მათ შორის, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო „ევროკავშირ-საქართველოს ადამიანის უფლებათა დიალოგის“ შეხვედრაში და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ასამბლეაში.

2021 წლიდან ვხელმძღვანელობ ორგანიზაციის იურიდიულ სამსახურს, რომლის გუნდის წევრიც 2009 წლიდან გავხდი. ჩემი ძირითადი სამსახურეობრივი მოვალეობაა იურიდიული ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტების განსაზღვრა და კოორდინაცია. ადამიანის უფლებების დაცვის და სამართლიანობის აღდგენის მიზნით, იურიდიული ჯგუფის წევრები ვეწევით საადვოკატო მომსახურებას, ვმუშაობთ საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალწარმოების მიმართულებით. ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე გავცემთ პირად და სატელეფონო კონსულტაციებს

.ადამიანის უფლებათა ცენტრი თავის გუნდთან ერთად განსაზღვრავს ადამიანის ღირსებების და უფლებების დაცვის პრიორიტეტებსა და სტრატეგიას. ორგანიზაციის გუნდისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი ცხოვრობდეს დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებებისა და კანონის

უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას. მიზნების მისაღწევად, სხვა საქმიანობებთან ერთად, ორგანიზაცია მოქალაქეებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მათი უფლებების დასაცავად უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს პოლიციის და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი. ორგანიზაციის იურისტები სისტემატიურად სწავლობენ დახურული ტიპის დაწესებულებებში მოქალაქეების მიმართ ძალადობის და სხვა უფლებადარღვევის ფაქტებს და საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულებს ეხმარებიან.

2022 წელს უფასო იურიდიული დახმარების პროექტის ფარგლებში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სტრატეგიულ და გახმაურებულ საქმეში. ორგანიზაციის იურისტების შეფასებით ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება ოჯახში ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიება და სამართალწარმოება. ასევე, დაკავებული პირების მიმართ, პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. ორგანიზაციის მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას.

გასული წლების მსგავსად, 2022 წელს სისხლის სამართლის საქმეებზე განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება დასახელდეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართალწარმოების პროცესში და შემდგომ ამ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ორგანიზაცია წლების განმავლობაში მუშაობს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე. ცენტრი აქტიურად აწარმოებს პოლიციის განყოფილებებში და პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების, ასევე უკანონო მსჯავრდების შედეგად გამართლებული პირების საქმეებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის თბილისის, შიდა ქართლის და კახეთის ოფისების იურისტების მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარება, 2022 წ.	
კონსულტაციები	6037
წარმოებაში აღებული საქმეები	122
სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში	3
სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში	1
წარმატებით დასრულებული საქმეები	52
პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტები	5

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და ფართომასშტაბიანმა საომარმა მოქმედებებმა უკრაინის მოქალაქეები აიძულა, დაეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ საქართველოში შემოვიდნენ უკრაინის მოქალაქეები, რომლებსაც რუსულმა აგრესიამ დაუხოცა ოჯახის წევრები თუ ახლო ნათესავები, გაუნადგურა საცხოვრებელი სახლები. უკრაინის მოქალაქეები თავშესაფრის და ლტოლვილის სტატუსი მიღების თხოვნით მიმართავდნენ შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტს, ასევე, საქართველოს გავლით, ცდილობდნენ, გადასულიყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეები ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარების თხოვნით მომართავდნენ შემდეგ საკითხებზე: საქართველოში თავშესაფრის მიღების წესი, ბინადრობა, მეწარმედ დარეგისტრირება, საქართველოდან უცხოეთში (ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში) გასვლის წესი, ბანკში ანგარიშის გახსნა, დევნილის სტატუსის მიღება, საქართველოში ლეგალურად ყოფნის ვადა, ორგანიზაციის რეგისტრაცია, ვადაგასული პასპორტის განახლება, ადმინისტრაციული საჩივრით მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, გამოძიების დაწყება და დაზარალებულის უფლებები.

უკრაინის მოქალაქეების გარდა, ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარების თხოვნით მომართავენ რუსეთის ფედერაციიდან და ბელორუსიდან დევნილი სამოქალაქო აქტივისტები, ასევე - მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში გამოცხადებულ ე. წ. მობილიზაციას თავს არიდებენ და დატოვებული აქვთ თავიანთი ქვეყანა, რათა არ იომონ უკრაინის წინააღმდეგ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის პრობლემები ექმნებათ ჩეჩნეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს. ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს მესაზღვრე ქვეყანაში არშემოშვების მიზეზად უთითებს საქართველოს კანონს „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მე-11 მუხლს, რომელშიც საუბარია „კანონით

გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაზე“, მაგრამ რომელ ან რა „სხვა შემთხვევაზეა“ საუბარი, არ არის დაკონკრეტებული. სახელმწიფოს უარი საჩივრდება შსს-ში, რომელიც საქმეს არ განიხილავს ინდივიდუალურად და დაინტერესებულ მხარეს კვლავ უბრუნებს შაბლონურ უარს, რომელიც შემდგომ საჩივრდება სასამართლოში. 2022 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაგზავნა რამდენიმე ადმინისტრაციული საჩივარი შსს-ში საზღვრის კვეთასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

2022 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისმა 1700 იურიდიული კონსულტაცია გასცა. ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გზებსა და საშუალებებზე. ოფისმა წარმატებით დაასრულა 17 საქმე. შესაბამისად, ბენეფიციარებმა შეძლეს საკუთარი დარღვეული უფლებების დაცვა და ინტერესების დაკმაყოფილება. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ უფრო მეტი იციან შიდა ქართლის მასშტაბით, რასაც ასევე ადასტურებს ოფისის საქმიანობის აქტიური გაშუქება ცენტრალურ თუ ადგილობრივ მედიაში. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს ცენტრის საქმიანობის არაერთი დადებითი შეფასება. წინა წლების მსგავსად, დადებითად შეფასდა ჩვენი ოფისის საქმიანობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ. შიდა ქართლის ოფისის იურისტმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

ძირითადი პრობლემები, რომლის თაობაზეც 2022 წლის განმავლობაში მოგვმართავდნენ, იყო: სოციალური ხასიათის დავები, მათ შორის - დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხები; შრომითი დავები კერძო თუ საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ; საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმები; პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებები; გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები; დევნილთა და ომის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემები; ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები; საკრედიტო და კერძო გამსესხებლების მიმართ არსებული დავები.

წარმატებული საქმეებიდან აღსანიშნავია დევნილების საქმეები, რომლებიც ითხოვდნენ საცხოვრებლით დაკმაყოფილებას დევნილთა სააგენტოსაგან. ასევე წარმატებით დასრულდა ეკომიგრანტის საქმე იმავე მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილებებით სააგენტოს დაევალა ამ პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო აქტივისტებისა და პოლიტიკოსების საქმეები, კერძოდ, - ენმ-ს წევრთა საქმე, რომლებსაც პოლიციის თანამშრომლები გორში პარტია „ქართული ოცნების“ ოფისზე წარწერების გაკეთებას ედავებოდნენ. გორის რაიონულმა სასამართლომ საქმე, მტკიცებულებათა არარსებობის გამო, შეწყვიტა.

აღსანიშნავია წარმატებით დასრულებული 5 შრომითი დავაც, სადაც სასამართლომ უკანონოდ ცნო დამსაქმებელთა (მათ შორის - საჯარო დაწესებულებათა) გადაწყვეტილებები დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და დააკისრა დამსაქმებლებს შესაბამისი კომპენსაციის გადახდა.

2022 წლის განმავლობაში რთული აღმოჩნდა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ჩადენილ უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამის ნათელი დასტურია ჟურნალისტის (მალხაზ

მიქელაძე) მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმე, სადაც მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო გამოძიება, იგი არ მიმდინარეობს ეფექტურად და არც მისი დაზარალებულად ცნობა არ მომხდარა.

მნიშვნელოვან სირთულეს ისევ წარმოადგენს გაჭიანურებული სასამართლო დავები. არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ ინიშნება პროცესები სხვადასხვა საქმეებზე, მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებზე წარდგენილ საქმეებზე. ერთ-ერთი მოქალაქის მიმართ 2020 წლის 23 ივლისს ჩადენილ დანაშაულზე 2021 წლის 14 ივნისს დაწყებული საქმის განხილვა დღემდე არ დაუსრულებია გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს.

2022 წელს არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა მოვამზადეთ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სამწუხაროდ, მეტწილად არ იქნა გათვალისწინებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. არ იქნა განხილული ჩვენს მიერ ტყის კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით წარდგენილი საკანონმდებლო პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერაც.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისი, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მხარდაჭერით და პარტნიორობით, კვლავ უწევდა იურიდიულ დახმარებას 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს, აწვდიდა მათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და მათი უფლებების თაობაზე ინფორმაციას, იკვლევდა დაზარალებულთა საჭიროებებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტთა გუნდს 2005 წლიდან შევუერთდი, როდესაც კახეთში, კერძოდ - გურჯაანში, ცენტრმა რეგიონული ოფისი გახსნა. მას შემდეგ ორგანიზაციის არაერთ პროექტში ვიყავი ჩართული. 2022 წელს NED-ის მხარდაჭერით, ტრადიციულად, როგორც წინა წლებში, კვლავ ხორციელდებოდა უფასო იურიდიული დახმარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები იურიდიულ დახმარებას იღებენ როგორც პირადი, სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციების გაწევით, ასევე სასამართლოებში წარმომადგენლობით სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე. პროექტის ფარგლებში 2022 წელს 687 ადამიანს გავუწიე კონსულტაცია, ხოლო 30 საქმეზე განვახორციელე გამოძიებასა და სასამართლოში მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

გარდა სასამართლოში წარმომადგენლობისა, ბენეფიციარებს ვეხმარებოდი განცხადებების, სარჩელების, შესაგებლების, საჩივრების მომზადებაში სასამართლოში, პროკურატურასა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენად. მათი კონსულტირება იმდენად სიღრმისეულად ხდებოდა, რომ აღარ სჭირდებოდათ სასამართლოში ადვოკატის დახმარება. თუმცა, საქმის დასრულებამდე, მაქვს კომუნიკაცია ბენეფიციარებთან და რაც სასიხარულოა, თითქმის ყველა ასეთი საქმე წარმატებით სრულდება.

ორგანიზაციის მრავალწლიანმა მუშაობამ რეგიონში გაზარდა მისი ცნობადობაც, რაც იმით გამოიხატება, რომ დახმარებისათვის რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან მოგვმართავენ. აქტუალურია კახეთში ადმინისტრაციული დავები მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც ფაქტობრივად მიწაზე საკუთრების უფლების დარღვევასთანაა კავშირში. უფლებადარღვეული მოქალაქეები დავაში მესამე პირებად გამოდიან, ხოლო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომლის უკანონო გადაწყვეტილების ბათილობას

სასამართლო წესით ვითხოვთ. ამ კატეგორიის სამი საქმე წარმატებით დავასრულეთ, ნაწილი კი კვლავ სასამართლოს წარმოებაშია. განსაკუთრებით აქტუალურია სასამართლო დავები არასრულწლოვნებთან მიმართებით, როდესაც მშობლებს შორის მიმდინარეობს დავა ბავშვებთან მათი ურთიერთობის წესის და არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. თითოეული ამ კატეგორიის საქმის უკან ოჯახური ძალადობის ფაქტები იმალება, რაც ბენეფიციარებთან ფაქიზ და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ჩვენს წარმოებაში წლის განმავლობაში ცხრა ასეთი კატეგორიის საქმეა, რომელთაგან ექვსი საქმე წარმატებით დასრულდა, ხოლო სამი კვლავ განიხილება.

კვლავ აქტუალურია საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულთა საქმეები. საჯარო სამსახურები, ე.წ. რეორგანიზაციის ჩატარების გზით, თავიდან იშორებენ მათთვის არასასურველ კადრებს. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ, მართალია, ბათილად ცნო მოხელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მაგრამ საკითხის გამოკვლევის მიზნით, ადმინიტრაციულ ორგანოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად, რაც, რა თქმა უნდა, არ დასრულდება გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენით და განაცდურის ანაზღაურებით. სასამართლოების მხრიდან ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ ხშირია, რაც შესაცვლელია.

ვმონაწილეობდი არასრულწლოვან გოგონათა მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულთა საქმეებში, რაც ბრალდებულთა მიმართ სამართლიანი სასჯელის შეფარდებით დასრულდა პირველ ინსტანციაში. ასევე წარმოვადგენდი დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესებს ფემიციდის საქმეში. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი კვლავ აქტუალურია, რადგან, ამ მხრივ, კახეთის რეგიონი თბილისის შემდეგ მეორე ადგილზეა.

ჩემი მუშაობისათვის, ისევე როგორც ჩვენი გუნდის ყველა იურისტისთვის, ხელისშემშლელ გარემოებად კვლავ რჩება დროში საქმეების განხილვის გაჭიანურება. მაგალითად, ადმინისტრაციული დავები, რომლებიც 2019 წელს დეკემბერში მქონდა დაწყებული, პირველ ინსტანციაში მხოლოდ 2022 წლის დეკემბერში დასრულდა. ხოლო ზოგიერთ საქმეზე ჯერ მოსამზადებელი სხდომაც არ ჩანიშნულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისი უკვე მესამე წელია, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია. ასევე ვართ გურჯაანის და თელავის პროკურატურასთან შექმნილი ადგილობრივი საბჭოს წევრი, საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია მუშაობის კოორდინაციისათვის. ჩვენს ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ საჯარო სკოლები. ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით მიწვეული ვიყავი გურჯაანის გიმნაზიაში მოსწავლეებთან შეხვედრაში. აქტიურად ვთანამშრომლობ გურჯაანის ქალთა ოთახთან და არასრულწლოვანთა სოციალურ აგენტებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2022 წელს აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ადამიანის უფლებების მდგომარეობის კვლევის მიმართულებით, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემები, კანონმდებლობაში შესული ადამიანის უფლებებისთვის საზიანო ცვლილებები, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებებში არამართლზომიერი ჩარევის შემთხვევები და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის განმავლობაში მოამზადა არაერთი ანალიტიკური ნაშრომი. დოკუმენტები ეხება: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პრობლემურობას; ექსტრადირების საკითხზე გამოვლენილი ტენდენციების შეუსაბამობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალთან და სტანდარტებთან მიმართებაში; დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ანალიზის, რეაგირების და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების

საჭიროებას; საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობას; საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემურობას; ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ცვლილებების შეუსაბამობას ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებაში და ა.შ.

ანალიტიკური დოკუმენტები მოიცავდა, ერთი მხრივ, საკანონმდებლო აქტების შესწავლას, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზსა და პრობლემების იდენტიფიცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავებას. რეკომენდაციები მიმართულია კონკრეტული უწყებების მისამართით და მათი გათვალისწინება ქვეყანაში ადამიანთა უფლებების დაცვის სტანდარტების მკვეთრ ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლიდან პერმანენტულად აკვირდება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომებს. დაკვირვების მიზანია მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, საქმეთა განხილვის ტენდენციების გამოკვეთა და დარღვევების იდენტიფიცირება.

2022 წელს ჩემი მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეებიდან შეიძლება გამოვყო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ასევე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიმართ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება.

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არსებულმა სისხლის სამართლის საქმემ საქართველოს საზღვრის უკანონო კვეთასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საქმის განხმილველი მოსამართლის გადაწყვეტილებებით სხდომების ინტენსივობის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა დაცვის მხარე აყენებდა შუამდგომლობას, სააკაშვილთან დაეშვათ „ემპათიის“ ექსპერტთა ჯგუფის წევრები, სასამართლო უსაფუძვლოდ დებდა სხდომებს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლის ქმედება, სავარაუდოდ, პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა. ხოლო მოსამართლე სხდომებს ინტენსიურად, კვირაში ერთხელ ნიშნავდა იმ დროს, როცა დაცვის მხარე შუამდგომლობდა სხდომების გონივრული ვადით გადადების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე, რაც დასტურდებოდა კლინიკა „ვივამედიდან“ წარმოდგენილი ცნობით და პენიტენციური სამსახურის ოქმით.

პანდემიის დროს არსებული შეზღუდვების მოხსნის შემდგომ, სასამართლოში საქმეთა განხილვა უშუალოდ სხდომის დარბაზიდან მიმდინარეობს, შეზღუდვების მოხსნა შეეხო დამსწრე პირებსაც, რომელებიც დაუბრკოლებლად აკვირდებიან პროცესებს.

კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყება, რომელიც დაკავშირებულია რიგ შემთხვევაში მხარეთა დაგვიანებასთან ან წინა საქმის განხილვის გაჭიანურებასთან.

პრობლემას წარმოადგენს ასევე, მოწმეთა დისტანციურად დაკითხვის დროს არსებული ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკურ გაუმართაობასთან და ართულებს სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელების პროცესს.

2022 წელს მონიტორინგი განვახორციელე 9 სისხლის სამართლის, 2 სამოქალაქო და 1 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე. არსებული საქმეებიდან შეიძლება გამოვყო ტელეკომპანია „ტვ პირველის“ და თბილისის მერის, კახა კალაძის სამოქალაქო დავა. დავის საფუძველს წარმოადგენდა „ტვ პირველის“ ჟურნალისტ მაია მამულაშვილის მიერ პირდაპირ ეთერში გავრცელებული ცნობები თბილისის მერის კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ. კახა კალაძე ტელეკომპანიისგან და ჟურნალისტისგან ითხოვდა 100 000 ლარის ოდენობის მორალური ზიანის ანაზღაურებას და გავრცელებული ინფორმაციის საჯაროდ უარყოფას. საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება. მოსამართლე ზაალ მარუაშვილმა ტელეკომპანიას დაავალა 15 000 ლარის ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო ჟურნალისტ მაია მამულაშვილს დაავალა გავრცელებული ცნობების საჯარო უარყოფა.

მონიტორინგის დროს ასევე გამოიკვეთა მოსამართლეთა მიერ ზოგიერთ შემთხვევაში სსსკ ძირითადი პრინციპების დარღვევის ტენდენცია, როგორიცაა შეჯიბრებითობის, მუკერძოებლობის და ჩაურევლობის

პრინციპები. მას შემდეგ, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ 25–ე მუხლის მე–2 ნაწილის ბოლო წინადადება, რომელიც მოსამართლეს უკრძალავდა მხარეებთან შეთანხმების გარეშე მოწმეთათვის დამაზუსტებელი კითხვების დასმას, მოსამართლეთა მხრიდან ხშირად კითხვის დასმის შესაძლებლობა სცილდება შეჯიბრებითობისა და სასამართლოს მიერ მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვების აკრძალვის პრინციპს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია ბესიკ თამლიანისა და სხვების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2022 წელსაც აკვირდებოდა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე გამართულ სასამართლო სხდომებს. მონიტორებისათვის მონიტორინგის პროცესში მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენდა წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელსაც ასევე ერთვოდა სასამართლო პროცესზე მონიტორთა მხრიდან გამოკვეთილი მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების ანალიზი.

2022 წლის 31 ოქტომბრიდან - 2022 წლის 29 დეკემბრამდე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოში დავესწარი 11 სასამართლო სხდომას. ამ საქმეების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები, ძირითადად, იცავდნენ საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო დარბაზში უზრუნველყოფდნენ წესრიგის დაცვასა და საქმის საჯაროდ განხილვის მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლო პროცესებზე

მხარეების მხრიდანაც არ ჰქონია ადგილი ეთიკური ნორმების დარღვევას. აღსანიშნავია, რომ სხდომების უმრავლესობა იწყებოდა მხარეთა ან მოსამართლეთა დაგვიანების მიზეზით. აგრეთვე, იყო შემთხვევები, როდესაც სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობის გამო, ვერ მოხერხდა მხარეთა მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, მოსამართლეთა ჩართულობაზე სისხლის სამართლის საქმეების არსებით სხდომაზე განხილვისას. სახელდობრ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზოგიერთი მოსამართლე აქტიურად ინტერესდებოდა საქმის დეტალებით და მხარეებისგან შესაბამისი ნებართვის მიღების გარეშე, სვამდა არადამაზუსტებელი შინაარსის შეკითხვებს.

2022 წელი ცენტრის საქმიანობისთვის საკმაოდ პროდუქტიული იყო. პანდემიის დასრულების შემდეგ ორგანიზაციის საქმიანობას და სხვადასხვა პროექტებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას ხელი არ შეშლია.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრი ძალიან აქტიურად აშუქებდა საქმიანობის ამსახველ ინფორმაციას. საკომუნიკაციო პლატფორმებიდან ცენტრი იყენებს ვებგვერდს - hrc.ge, ინტერნეტგაზეთს - humanrights,ge, იუთუბ არხს, ინსტაგრამს, ლინკდინს, ყველაზე ხშირად კი - ფეისბუკსა და ტვიტერს, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს დაინტერესებული ადამიანების ჩართულობა და ინტერაქცია. ორგანიზაციის ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე თვეში, საშუალოდ, 45 პოსტი იდება, იზრდება

სამიზნე აუდიტორია და გვერდის მიმდევრების რიცხვი, პოსტებს 13 000-დან 15 000-მდე ადამიანი ნახულობს. სისტემატიური სახე აქვს ცენტრის თანამშრომლების კომუნიკაციას ადგილობრივი მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან. გასულ წელს ცენტრის აქტივობები თუ იურისტების კომენტარები მედიის ყურადღების ცენტრში 242-ჯერ მოექცა.

ორგანიზაცია ინფორმაციის გასავრცელებლად ორ საიტს იყენებს. ერთ-ერთი - Humanrights.ge არის მედიარესურსი, რომლის მიზანი საქართველოში უფლებადაცვითი ჟურნალისტიკის განვითარება და ადამიანის უფლებების შესახებ ზოგადი ცნობიერების ამაღლებაა. მეორე საიტის - Hrc.ge-ს დახმარებით ორგანიზაცია აქვეყნებს ცენტრის საქმიანობის ამსახველ ინფორმაციას - ნიუსებს, რელიზებს, ანგარიშებს და სხვ. Hrc.ge-სა და Humanrights.ge-ზე ერთი წლის განმავლობაში 124 პუბლიკაცია გამოქვეყნდა. საიტებს ჯამში 70 000 ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

2022 წელს ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება და პარასკევ დღეს ცენტრი 14:00 საათამდე მუშაობს, რაც საკმაოდ პროდუქტიულად აისახა თანამშრომლების მოტივაციაზე. ამ დღეს ჩანიშნულია თათბირები პლატფორმა Zoom-ში ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად. ეს საშუალებას გვაძლევს, ყოველკვირეულ რეჟიმში ვესაუბროთ რეგიონებში მცხოვრებ თანამშრომლებს და ერთობლივად მივიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია, რომ NED-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ვამონიტორინგებთ და ვაშუქებთ სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სასამართლო პროცესებს. ცენტრის ფეისბუკ გვერდზე გაშუქებულ ვიდეოებს ამ პროექტის ფარგლებში ბევრი გამოხმაურება აქვს.

საინფორმაციო ტეექნოლოგიების მენეჯერის როლი ორგანიზაციის მიზნების განხორციელებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მე ვმუშაობ იმისათვის, რომ ოფისში თითოეული თანამშრომელი უწყვეტად უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე გამართული კომპიუტერითა და საოფისე პროგრამებით, მუდმივად ხდებოდეს სამუშაო მოწყობილობებისა და პროგრამების განახლება, დაცული იყოს ციფრულ მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება და სხვა.

ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ღერძი და მამოძრავებელი ძალა - ფინანსებია. სწორედ ფინანსური მენეჯერის მოვალეობაა წარმართოს ორგანიზაციის ფინანსები სწორად.

წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი შრომის, მონდომებისა და უდიდესი სურვილის წყალობითაა შესაძლებელი.

WE ARE EUROPE
WE ARE EUROPE
Working, to make a Difference!

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში

ხედვა:

ადამიანის უფლებათა ცენტრს სჯერა, რომ ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ჩვენ ვთვლით, რომ ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

მიზნები:

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

პრიორიტეტული სფეროები:

კანონის უზენაესობის გაძლიერება

- საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობით და მათი განხორციელების მონიტორინგით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით ადამიანის უფლებებისა და მათი რეალიზაციისათივს ხელმისაწვდომი იურიდიული მექანიზმების შესახებ;
- უფასო იურიდიული დახმარებით კერძო პირებისა და ჯგუფებისათვის, რათა დაცული იყოს მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგით, დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით.

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა

- დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობით;
- გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი გარემოს შექნის ხელშეწყობით;
- ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების ორგანიზაციული განვითარებით.

თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა

- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით;
- უმცირესობების უფლებების დაცვით;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობით.

გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ხელშეწყობა

- შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით;
- ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით;
- რესტიტუციის, რეპარაციის ადვოკატირებით;
- ნდობის აღდგენა შერიგებისა და მშვიდობის აღდგენით;

დემოკრატიული პროცესების გაძლიერება

- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება ორგანიზაციული განვითარებისა და ქსელური საქმიანობების საშუალებებით;
- სოციალური ჯგუფების სამოქალაქო საქმიანობებში ჩართვის ხელშეწყობით;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, კარგი მმართველობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობით.

საქმიანობა:

- საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგი და დოკუმენტირება;
- საქართველოში ადამიანის უფლებების სიტუაციის შესახებ ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ანგარიშების რეგულარულად მიწოდება;
- საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმების ლობირება და ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან;
- ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე სასამართლო დავების წარმოება იურიდული დახმარების ცენტრის უფასო მომსახურების გზით.
- საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოველდღიურად განახლებადი ორენოვანი ინტერნეტგამოცემის www.humanrights.ge-სა და ორგანიზაციის ვებგვერდის - www.hrc.ge-ს საშუალებით.
- ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ქსელური საქმიანობის საშუალებით.

დონორები:

- „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED)
- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ACCESS-ის პროგრამა
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)
- ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
- გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი ifa (Institut für Auslandsbeziehungen), zivik
- მსოფლიო ფედერალური მოძრაობა-გლობალური პოლიტიკის ინსტიტუტი (WFM-IGP)
- ევროკომისია
- გერმანული მარშალის ფონდის შავი ზღვის ფონდი, აშშ
- აშშ-ის საელჩო საქართველოში
- კანადის საელჩო
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში
- ლიეტუვის საელჩო საქართველოში
- ბულგარეთის საელჩო საქართველოში

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები და ანალიტიკური დოკუმენტები

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში (2022)



ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2022 წელს. ტრადიციულად, მასში შესულია ყველა ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხი, რამაც გავლენა იქონია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტზე. ის ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებს და შეფასებებს. ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების ქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მათი რეაგირების ხარისხი უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რაც მიმართული უნდა იყოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისკენ.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში))



ანგარიში, ძირითადად, ასახავს 2021 წლის 1 თებერვლიდან 30 დეკემბრამდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშში, აგრეთვე, ასახულია მედიის წარმომადგენელზე მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე თავდასხმის ფაქტებზე მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები.

საპროტესტო აქციების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში)



ანგარიშის მიზანია 2021 წლის 1 თებერვლიდან 30 ნოემბრამდე საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული დარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტში განხილულია თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების, ე.წ. ულტრამემარჯვენე ჯგუფების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი



ანგარიშში გამოკვეთილია ორი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც უკავშირდება ეთნიკურად ოსი პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესს და საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს მიღებული კანონის - „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ აღუსრულებლობას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ლიკვიდაცია რეორგანიზაციის სახელით (სამართლებრივი შეფასება)



2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა, რის საფუძველზე სამსახურმა მუშაობა 2022 წლის 1 მარტიდან შეწყვიტა. დოკუმენტში განხილულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ლიკვიდაციით გამოწვეული შესაძლო შედეგები და მიმოხილულია ხარვეზები, რომელიც დაუშვა საქართველოს მთავრობამ კანონპროექტის შემუშავებისას.

პარტია ,,კონსერვატიული მოძრაობისა'' და ტელეკომპანია ,,ალტ-ინფოს'' საქმიანობის აკრძალვის საფუძვლები (სამართლებრივი ანალიზი)

პრორუსული პარტია ,,კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც გამოირჩევა ძალადობრივი ქმედებებითა და ძალადობის წამახალისებელი სიძულვილისა და მუქარის ენით, მხარს უჭერს საქართველოს შესვლას რუსულ „უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემებში“ და საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების „დაკანონებას“, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკური უფლებების შეზღუდვებს და გაუქმდეს. ხოლო ამის კონსტიტუციური საფუძვლები, საჭიროება და გამართლება არსებობს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, პროპაგანდისტული, ძალადობრივი ტელეკომპანია „ალტ-ინფო“, რომელიც ღიად ეწევა ომის პროპაგანდას, სიძულვილის ენისა და სოციალური კონფრონტაციის გამომწვევი განცხადებების გავრცელებას, უნდა ჩაიხსნას მაუწყებლობიდან და ამისათვის ხელისუფლებამ ყველა თანმხვედრი ნაბიჯი უნდა გადადგას.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში, 2022 წლის აპრილი - ივნისი)

ანგარიში ძირითადად ასახავს 2022 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისამდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ადამიანის უფლებათა მონიტორების დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ტენდენციების შეფასება, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი.

საპროტესტო აქციების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში, 2022 წლის აპრილი-ივნისი)

ანგარიშის მიზანია, 2022 წლის 1 აპრილიდან - 30 ივნისამდე, საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული პრობლემური ტენდენციების, დარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტში განხილულია თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო მოძრაობების, პარტიების და სხვა ჯგუფების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში პირთა ექსტრადიციის პრობლემური პრაქტიკა (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი)

ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ეთნიკურად ჩეჩენ რამზან ახიადოვს. დოკუმენტში შეფასებულია საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში რამზან ახიადოვის ექსტრადირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემური ტენდენციები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან და ადგილობრივ სტანდარტებთან.

ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?

ანალიტიკური ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ანალიზს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობის ფარგლებში ევროკავშირის მორიგი გაფართოების კონტექსტში. დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის განვითარების ცალკეულ ეტაპებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე და განსაკუთრებულ აქცენტს ბოლოდროინდელ მოვლენებზე აკეთებს, რაც საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადს და მისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას უკავშირდება.

პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების ანალიზი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიხეილ სააკაშვილის დაკავების დღიდანვე აქტიურად უწევს მონიტორინგს თბილისის საქალაქო სასამართლოში მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების განხილვას. ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს სასამართლო ხელისუფლების, იუსტიციის სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში



ანგარიში ასახავს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2021 და 2022 წლებში ამ სოფლებში მონიტორინგის ვიზიტების შედეგებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მითითებულ პერიოდში 14 სოფელი მოინახულეს 5 მუნიციპალიტეტში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, გაესაუბრნენ სოფლებში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას და დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც არსებული პრობლემები ფიზიკური შემოწმების შესაძლებლობას იძლეოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ასევე მიმართა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, მოითხოვა საჯარო ინფორმაცია და რეაგირება სოფლებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით - კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი

ფარული საგამოძიებო მოქმედებების გაფართოება ვერ უზრუნველყოფს საქართველოში კერძო და საჯარო ინტერესების გონივრულ ბალანს, რადგან ჯერჯერობით 2021 წლის საქმეებზეც კი სახელმწიფომ დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა ვერ დაამტკიცა, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას. ადამიანის უფლებათა ცენტრს შეტანილი აქვს საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საქმე ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების საკითხის, როდესაც არასრულწლოვანი პირის მიმართ ფარული მოსმენა მოსამართლის განჩინების გარეშე მიმდინარეობდა. მითითებული საქმე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესვლამდეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები დარღვევებით მიმდინარეობდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)	
ფინანსური ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
შემოსავლები (ლარი)	
ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)	301,433
ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)	162,897
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)	12,327
შავი ზღვის ნდობის ფონდი (BST)	0
ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი (HRHF)	41,503
ევროსაბჭო	7,840
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი Ifa/Zivik	390,027
ბრიტანეთის საელჩო საქართველოში	19,390
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)	45,736
ჯამი (შემოსავლები)	**981,153**

ფინანსური ანგარიში 2022

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლის ხარჯი



HUMAN RIGHTS CENTER

მისამართი:

თბილისი
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ.11ა,
(ყოფილი გაგარინის 2 ჩიხი) III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50
(+995 32) 238 46 48
ვებ-გვერდი:www.hrc.ge

გორი
1400 გორი, ლერმონტოვის ქუჩა #9, ბინა #5
ტელ.: 0(370) 29 25 91

გურჯაანი
გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა 14, III სართული
ტელ:0 (353) 22-50-70